



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**

მესამე სექცია

**უილემსი და გორჟონი ბელგიის წინააღმდეგ**

*(განაცხადები N 74209/16, 75662/16, 19431/19)*

[სამართლებრივი შეჯამება](#)

***არაოფიციალური თარგმანი***

***მომზადებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს და  
ანალიტიკური სამსახურის მიერ.***

**სტრასბურგი**

**21 სექტემბერი, 2021 წელი**

## **მუხლი 37**

### **მუხლი 37-2**

#### **საქმეთა ნუსხაში აღდგენა**

საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნაზე უარის თქმა, უმიზნოს ხდის მთავრობის ცალმხრივ დეკლარაციაში აღებულ ვალდებულებებს: *საქმე აღდგენილია ნუსხაში.*

## **მუხლი 6**

### **სისხლის სამართალწარმოება**

#### **მუხლი 6-1**

#### **სასამართლო ხელმისაწვდომობა**

საკასაციო სასამართლოს მხრიდან გადაჭარბებული ფორმალიზმი სამართლებრივ საკითხებზე საჩივრების დაუშვებლად ცნობისას, იმ საფუძველით, რომ ადვოკატმა არ მიუთითა საჭირო სერტიფიკატის არსებობის შესახებ: *დარღვევა.*

### **ფაქტობრივი გარემოებები**

თითოეულმა მომჩივანმა განაცხადი წარადგინა სასამართლოში იმის მტკიცებით, რომ მათი საჩივრების უარყოფა გადაწყვეტილების იმ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც მათ მსჯავრი დაედოთ სისხლის სამართლის პროცესში, ზედმეტად ფორმალური იყო და ართმევდა მათ საკასაციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას.

2017 წლის 5 სექტემბრის განცხადებაში მთავრობამ აღიარა, რომ „საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განმცხადებელთა სააპელაციო საჩივრების დაუშვებლად ცნობა, იმ საფუძველით, რომ საჩივარზე ხელმომწერმა ადვოკატმა არ მიუთითა იმ ფაქტის შესახებ, რომ მას ჰქონდა საჭირო ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების პატივისცემას“. მათ ასევე აიღეს ვალდებულება, თითოეული მომჩივისათვის გადაეხადათ 8000 ევრო, არამატერიალური ზიანისა და ხარჯების დასაფარად.

2018 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით, სასამართლომ გაითვალისწინა მთავრობის განცხადება, რომელშიც მიუთითებდა, რომ სასამართლოს შეეძლო განაცხადების აღდგენა საქმეთა ნუსხაში, იმ შემთხვევაში თუ მთავრობა ვერ შეასრულებდა ცალმხრივი დეკლარაციის პირობებს.

2018 წლის 7 ნოემბერს საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების მიერ წარდგენილი მოთხოვნა სამართალწარმოების ხელახლა დაწყების თაობაზე, რომელიც ეხებოდა სასამართლოს 2018 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების შედეგად განსახილველ საქმეთა სიიდან მათი საქმეების ამორიცხვას, უსაფუძვლო იყო და რომ არ იყო საჭირო საქმის ხელახალი განხილვის დაწყების თაობაზე ბრძანების მიღება. საკასაციო სასამართლომ ასევე



დაადგინა, რომ ადვოკატისათვის იმის მოთხოვნა, რომ დაედასტურებინა სერტიფიცირების შესახებ ინფორმაცია, რაც მას საშუალებას მისცემდა, სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო, არ წარმოშობდა პრობლემას სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების კუთხით. საკასაციო სასამართლომ 2016 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ სამართლებრივ საკითხებზე საჩივრების დაუშვებლად ცნობა შეესაბამებოდა კონვენციის მოთხოვნებს.

2019 წლის 28 მაისს სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლების მოთხოვნა და მათი საქმე აღადგინა საქმეთა ნუსხაში.

ამავდროულად, მომჩივნებმა შეიტანეს ახალი განცხადებები სასამართლოში. ისინი დავობდნენ, რომ საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებამ შეუძლებელი გახადა მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის ხელახლა განხილვა, რითაც ჩამოერთვათ სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით.

### **სამართლებრივი შეფასება**

**37-ე მუხლის 1-ლი პუნქტი:** ეს საქმე წარმოშობს მთავრობის მიერ გაკეთებული დეკლარაციის შედეგების და სასამართლოს გადაწყვეტილებაში ამ დეკლარაციის მხედველობაში მიღების პრობლემურ საკითხს. კერძოდ, სადავო განცხადება გაკეთდა მთავრობის მიერ, მაგრამ მისი განხორციელება ნაწილობრივ დამოკიდებული იყო სასამართლო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოზე. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ იგი არც მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციით და არც სასამართლოს გადაწყვეტილებით არ იყო შეზღუდული.

მთავრობის ცალმხრივ განცხადებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ „ხელისუფლების დანაწილების პრინციპი გულისხმობს, რომ სასამართლო ხელისუფლება არ არის შეზღუდული არც ხელისუფლების მიერ კონვენციის მოცემული ინტერპრეტაციით და არც მათი მტკიცებით, რომ სასამართლომ დაარღვია ეს ტექსტი“. მიუხედავად იმისა, რომ აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის ხელისუფლების დანაწილების ცნებას მზარდი მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, წინამდებარე საქმეში საკასაციო სასამართლომ მიმართა ბელგიის ეროვნული სამართლის ზოგად პრინციპს. ამ პრინციპის ზუსტი შინაარსის დადგენა ექცეოდა ხელშემკვრელ სახელმწიფოთათვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლებში. სასამართლო ვერ ჩაერეოდა ეროვნული სამართლის ამ საკითხში. მას შეეძლო მხოლოდ ყურადღება მიექცია საკასაციო სასამართლოს მიერ გამოთქმულ პოზიციაზე და გაეკეთებინა საჭირო დასკვნები კონვენციის შესაბამისად.

რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას ცალმხრივი განცხადების ცნობის თაობაზე, საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ „2018 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებას საქმის ნუსხიდან ამორიცხვის თაობაზე, არა აქვს ინტერპრეტაციის სავალდებულო ეფექტი. ევროსასამართლოს არ გადაუწყვეტია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურა არღვევს სასამართლოზე წვდომის უფლებას. ეს არ კრძალავს ამ მუხლით გათვალისწინებული სერტიფიცირების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენის მოთხოვნას, სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 423-ე და 429-ე მუხლებში აღნიშნულ საპროცესო დოკუმენტებში მითითებით და ამ მუხლებით დადგენილი ფორმით წარდგენით“.

მართალია, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში არ განიხილა განმცხადებელთა საჩივრები მათი დასაშვებობის და დასაბუთებულობის დადგენის მიზნით, და მას არ მიუღია გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით; ამ თვალსაზრისით, გადაწყვეტილებას არ ჰქონდა *res judicata* ხარისხი ან ინტერპრეტაციის სავალდებულო ძალა; თუმცა, სასამართლომ განიხილა „ცალმხრივ დეკლარაციაში მოცემული დათმობების არსი, კომპენსაციის ადეკვატურობა; და მოითხოვდა თუ არა ადამიანის უფლებათა პატივისცემა ამ საქმის განხილვას ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით“.

რა თქმა უნდა, ვინაიდან 2018 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება არ წარმოადგენდა იმ განაჩენს, რომლითაც იქნებოდა დადგენილი კონვენციის დარღვევა, იგი არ ექცეოდა კონვენციის 46-ე მუხლის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოებსა და სასამართლოს შორის გაზიარებული პასუხისმგებლობის სულისკვეთება, რაც უკავშირდებოდა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფას, განმცხადებლებს აძლევდა უფლებას, ჰქონოდათ მოლოდინი, რომ სახელმწიფო - მათ შორის, ეროვნული სასამართლოები - კეთილსინდისიერად განახორციელებდა ქმედებებს ცალმხრივი დეკლარაციით და *a fortiori*, მორიგების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად. ეს მოლოდინი მით უფრო ძლიერი იქნებოდა, სადაც სამართლებრივი საკითხები ან სხვა მოქმედი პრინციპები სასამართლოს დადგენილი პრეცედენტული სამართლის ნაწილი იყო მოპასუხე სახელმწიფოსთან მიმართებით. უფრო მეტიც, წინამდებარე საქმეში პარალელები იყო გავლენული ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებასა და იმ განაჩენს შორის, რომლითაც დარღვევა დადგინდა.

იქ სადაც დადგინდა კონვენციის დარღვევა, სასამართლოს არ გააჩნდა იურისდიქცია, მოეთხოვა ეროვნული სამართალწარმოების ხელახლა დაწყება. თუმცა, იქ სადაც პირი მსჯავრდებულ იქნა იმ სამართალწარმოების შედეგად, რამაც გამოიწვია კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნების დარღვევა, სასამართლოს შეეძლო (მოთხოვნის შემთხვევაში) მიეთითებინა, რომ საქმის ხელახლა განხილვა ან საქმის გადასინჯვა პრინციპში წარმოადგენდა დარღვევის აღმოფხვრის შესაბამის გზას. მიუხედავად ამისა, კონკრეტული გამოსასწორებელი ღონისძიებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელთა შესრულებაც მოპასუხე სახელმწიფოს მოეთხოვება 46-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, ყოველთვის დამოკიდებულია ცალკეული საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. კერძოდ, სასამართლოს არ ევალებოდა იმის მითითება, თუ როგორ უნდა წარმართულიყო ახალი სასამართლო პროცესი და რა ფორმით უნდა ყოფილიყო იგი ჩატარებული. მოპასუხე სახელმწიფოს რჩებოდა თავისუფალი არჩევანის საშუალება იმის თაობაზე, თუ როგორ შეესრულებინა ვალდებულებები განმცხადებელთან მიმართებით, რათა განმცხადებელი ჩაეყენებინა ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ის იქნებოდა კონვენციის დარღვევის არარსებობის პირობებში - იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი საშუალებები შესაბამისობაში იქნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემულ დასკვნებსა და დაცვის უფლებასთან.

წინამდებარე საქმეში, 2018 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებაში, სასამართლო დაეყრდნო 46-ე მუხლთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალს, რომლის მიხედვითაც „ეროვნულ სასამართლოებში წარმოების ხელახლა დაწყება არის ყველაზე მიზანშეწონილი - თუ არა ერთადერთი - საშუალება *restitutio in integrum* პრინციპის უზრუნველსაყოფად და

სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის გამოსასწორებლად“. მან ასევე აღნიშნა, რომ ეროვნული სამართალი პრინციპში არ გამორიცხავდა საქმის ხელახლა განხილვას, თუკი ევროპულმა სასამართლომ საჩივარი საქმეთა ნუსხიდან ამორიცხა მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე.

ვინაიდან განმცხადებლები ითხოვდნენ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის ხელახლა განხილვის დაწყებას, კომპეტენტურ ორგანოებს, ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს, ევალეზობა, ყურადღება მიეპყრო შედეგებისთვის, რომელსაც მთავრობის ცალმხრივი დეკლარაცია და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება იქონიებდა შიდასამართლებრივ წესრიგზე. ეს ამოცანა იყო ეროვნულ ხელისუფლებასა და სასამართლოს შორის პასუხისმგებლობის გაზიარების ნაწილი კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად, და უფრო კონკრეტულად, ეროვნული ხელისუფლების ძირითადი პასუხისმგებლობა ამ სფეროში.

წინამდებარე საქმეში საკასაციო სასამართლომ შეისწავლა განმცხადებლების საჩივარი 2016 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილების თაობაზე. სასამართლოს დასკვნის თანახმად, გამოკვლევის შედეგად არ დადგინდა, რომ მიღებული გადაწყვეტილება არსებითად ეწინააღმდეგებოდა კონვენციას, ან რომ მან გამოიწვია დარღვევა შეცდომისა ან სერიოზული ნაკლოვანების გამო.

საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახალი განხილვის მოთხოვნის დაშვებაზე უარის თქმის ეფექტი იმაში მდგომარეობდა, რომ მთავრობის ვალდებულებები, რომელსაც შეიცავდა ცალმხრივი დეკლარაცია, ეროვნულ სამართლებრივ წესრიგში არაეფექტური დარჩა. ეს უტოლდებოდა „გამონაკლის გარემოებებს“, რამაც აიძულა სასამართლო 2019 წლის 28 მაისს განმცხადებლების მოთხოვნით აღედგინა თავდაპირველი საჩივრები საქმეთა ნუსხაში. ამრიგად, სასამართლოს მოეთხოვებოდა შეესწავლა განმცხადებლების თავდაპირველი საჩივრების დასაშვებობა და არსებითი მხარე საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მას უნდა განეხილა ეს საჩივრები, კონკრეტულად, საკასაციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაში განვითარებული დასაბუთების ჭრილში, ამ გზით ეწარმოებინა „სასამართლო დიალოგი“, რომელიც ბელგიის სასამართლომ წამოიწყო ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების მიღებით.

მუხლი 6 §1: განმცხადებლების ადვოკატი ფლობდა საჭირო სერტიფიკატს, რაც საშუალებას აძლევდა შეეტანა საჩივრები სამართლებრივ საკითხებზე იმ დროისათვის, როდესაც მან წარადგინა განმცხადებლების საჩივრები. განმცხადებლები დაადანაშაულეს პროცედურული ხარვეზისთვის, ვინაიდან მათ ვერ დაამტკიცეს, რომ მათი წარმომადგენელი იყო სათანადოდ სერტიფიცირებული ადვოკატი, იმ ფაქტზე მითითებით, რომ იგი ფლობდა სერტიფიკატს, რაც ასახული იყო წერილობით დოკუმენტში და რომლის განხილვასაც შეძლებდა საკასაციო სასამართლო.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 პუნქტის პირობები არ ითვალისწინებდა, რომ საპროცესო დოკუმენტებში უნდა ყოფილიყო მტკიცებულება ადვოკატის მიერ საჭირო ტრენინგის სერტიფიკატის ფლობის თაობაზე. არც საკასაციო სასამართლოს ვებგვერდი და არც ტრენინგის დებულებები შეიცავდნენ ინფორმაციას ასეთი მოთხოვნის შესახებ. გარდა ამისა, როცა მათმა ადვოკატმა შეიტანა საჩივრები სამართლებრივ საკითხებზე – ანუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 425-

ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 პუნქტში განხორციელებული ცვლილებების კანონიერ ძალაში შესვლიდან ათი დღის შემდეგ – და მომდევნო ორი თვის განმავლობაში, სხვა გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული, რაც საშუალებას მისცემდა მათ განეჭვრიტათ ადვოკატის სერტიფიცირების შესახებ მითითების აუცილებლობა.

როგორც დადგინდა, ელემენტს, რომელსაც მნიშვნელოვანი წონა ჰქონდა სანქციის პროპორციულობის შეფასებისას იყო ის, რომ საკასაციო სასამართლოს ვებგვერდზე განმარტებული იყო, რომ შესაბამისი სერტიფიკატის მქონე ადვოკატებს შეეძლოთ კონსულტაციის გაცემა, რომელთა სიის გაცნობა შესაძლებელი იყო ადვოკატთა ასოციაციების ინტერნეტ საიტებზე და იქვე მითითებული იყო ვებგვერდების პირდაპირი ბმულები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკასაციო სასამართლომ, საკუთარი ინტერნეტ საიტზე მარტივი ძიების საშუალებით, თავად უზრუნველყო იმის დადგენის შესაძლებლობა, იყო თუ არა ახლადშემოღებული წესი შესრულებული წინამდებარე საქმეში.

ამ გარემოებებში, განმცხადებლებისთვის იმ გადაწყვეტილების შედეგების გათვალისწინებით, რომლითაც მათი საჩივრები დაუშვებლად იქნა ცნობილი (კერძოდ, ხელი შეუშალეს რა სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში საკასაციო სასამართლოს მიერ მათი საჩივრების განხილვაში), სასამართლომ პროცედურული შეცდომის გამო ამ გზით სანქცირებით, დაარღვია აუცილებელი სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სამართლებრივ საკითხებზე საჩივრის შეტანის ფორმალურ პროცედურასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ლეგიტიმურ ინტერესსა და მეორე მხრივ, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას შორის, და ამრიგად, იყო გადაჭარბებით ფორმალური ამ საჩივრების დასაშვებობის პროცედურული მოთხოვნების განხილვისას.

რამდენადაც განმცხადებლები ჩიოდნენ სამართალწარმოების ხელახლა დაწყებაზე ფაქტობრივად უარის თქმის თაობაზე, ეს მოთხოვნები წარმოადგენდა უკვე ახალ საჩივრებს, განცალკევებულს იმ საჩივრებისგან, რომლებიც მანამდე იქნა შეტანილი. თუმცა, გათვალისწინებულ იქნა რა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საწყის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭირო არ იყო განეხილა ამ საჩივრების დასაშვებობა და არსებითი მხარე.

**დასკვნა: დარღვევა (ერთხმად).**

**მუხლი 46:** როდესაც პირი მსჯავრდებული იქნა სამართალწარმოების შედეგად, რომელიც არღვევს მე-6 მუხლის მოთხოვნებს, საქმის ხელახლა განხილვა ან გადასინჯვა (მოთხოვნის შემთხვევაში), პრინციპში წარმოადგენდა დარღვევის გამოსწორების სათანადო გზას. ამისთვის, სანამ ჯერ კიდევ საჭირო იყო, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 442bis მუხლი უშვებდა მსჯავრდებულის მიმართ საქმის წარმოების ხელახლა დაწყების შესაძლებლობას მხოლოდ სისხლის სამართლის საკითხებში, თუ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით დადგენილი იყო, რომ დაირღვა ევროპული კონვენცია. მოცემულ შემთხვევაში ამ შესაძლებლობის გამოყენება იქნებოდა საკასაციო სასამართლოს მიერ შესაფასებელი საკითხი, შიდა კანონმდებლობისა და საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

**მუხლი 41:** მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.



(იხ. აგრეთვე *Jeronovičs v. Latvia* [GC], 44898/10, 2016 წლის 5 ივლისი).